

## პრესრელიზი

30.08.15

ტყიბულში მემახტის პროფესიული დღე სახალხო ზეიმით აღნიშნეს

30 აგვისტოს ტყიბულში, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფისა და საქნახშირის ინიციატივით მემახტის ფროფესიული დღე სახალხო ზეიმის ფარგლებში აღნიშნეს. კომპანიის ინიციატივით, ათეული წლების შემდეგ, პირველად სახელმწიფო ჯილდოები გადაეცათ, გამორჩეულ მემახტეებს.

ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობის საქმეში შეტანილი წვლილისთვის, სამსახურეობრივი მოვალეობისას გამოვლენილი მაღალი ფროფესიონალიზმისა და ხანგრძლივი ნაყოფიერი საქმიანობისათვის დაჯილდოვდნენ: ღირსების ორდენებით - ბეჟან ბალავაძე და სპარტაკ კბილაძე. ღირსების მედლები კი გადაეცათ - გია ქარქაშაძეს, ვაჟა ცნობილაძეს და გივი ჩიქობავას. სახელმწიფო ჯილდოების გადაცემის ოფიციალურ ცერემონიაში ადგილობრივი ხელისუფლების და კომპანიის ხელმძღვანელი პირები მონაწილეობდნენ. ფროფესიული დღესასწაულის აღნიშვნა ტყიბულის ცენტრში, ლეგენდარული ანსამბლის „ერისიონის“ კონცერტით დასრულდა. მთელი დღის განმავლობაში კი ქალაქში სპეციალური საბავშვო გასართობი ლოკაციები მოეწყო. პატარების განწყობაზე კი მათი საყვარელი მულტფილმების და ზღაპრის გმირები ზრუნავდნენ. ასევე გაიმართა საცირკო სანახაობები და გაწვრთვნილი ცხოველების შოუ.

სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიების გარდა გაიმართა საქმიანი შეხვედრებიც.

მხარის გუბერნატორმა, ტყიბულის გამგებელმა და საკრებულოს თავჯდომარემ საქნახშირი ჯიაჯის ხელმძღვანელობასთან ერთად კომპანიის კუთვნილი ობიექტები დაათვალიერეს. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ლევან ჭოლაძემ მათ, პირადად გააცნო დაგეგმილი, სტრატეგიული პროექტების დეტალები. იმერეთის გუბერნატორმა, ახალი პროექტი „ტყიბული 150“-ის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რომელიც ახალი თბოელექტროსადგურის მშენებლობას ითვალისწინებს. გივი ჭიჭინაძის შეფასებით, „საქნახშირი ჯი-აი-ჯის“ პროექტები და არსებული საწარმოები ქალაქს ახალ სიცოცხლეს აძლევს, რეგიონს კი ახალ ენერგეტიკულ ცენტრად აყალიბებს. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა ის ადგილიც დაათვალიერეს სადაც რამდენიმე მილიონიანი ინვესტიციის ფარგლებში ახალი საწარმო უნდა აშენდეს.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები საქნახშირში განხორციელებული სიახლეებთან დაინტერესდნენ და ადგილზე გაეცნენ იმ სამუშაოებს, რომელიც მემახტეთა უსაფრთხოების გაძლიერების, შრომის პირობებისა და ეკოლოგიური პროცესების გაუმჯობესების მიზნით გატარდა.

კომპანია „ჯი-აი-ჯი“ ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული ჯგუფია საქართველოში. მისი ბიზნეს პორტფელი მოიცავს ნახშირის მოპოვებას, ელექტროენერჯის გამომუშავებას (ჰიდრო, ბუნებრივ აირზე და ნახშირზე მომუშავე სადგურები) ბუნებრივი აირით ვაჭრობასა და უძრავი ქონების მართვას. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

"Georgian Industrial Group" Ltd  
Gazapkhuli str. 14, 0177, Tbilisi  
Tel.: +995 32 221 01 87  
Fax: +995 32 221 01 89  
www.gig.ge

გთხოვთ მოგვმართოთ:  
E-mail: [m\\_manjgaladze@gig.ge](mailto:m_manjgaladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 06  
E-mail: [n\\_bandzeladze@gig.ge](mailto:n_bandzeladze@gig.ge)  
Mob: 995 577 77 03 01

შემოგვიერთდით:   
Georgian Industrial Group Holding

